GEORGIA'S EUROPEAN ORBIT
საქართველოს ევროპული ორბიტა

"ქართული ოცნების" მიერ 2024 წლის 28 ნოემბრის შემდგომ მიღებული უფლებაშემზღუდველი და რეპრესიული კანონების მიმოხილვა

1 ივლისი, 2025

“ქართული ოცნების” მიერ 2024 წლის 28 ნოემბრის შემდგომ მიღებული უფლებაშემზღუდველი და რეპრესიული კანონების მიმოხილვა

რეპრესიული პოლიტიკის გაძლიერების სამართლებრივი უზრუნველსაყოფისთვის „ქართულმა ოცნებამ“ ერთპარტიულად, დაჩქარებული წესით, ფორმალური, არაშინაარსობრივი განხილვით, რომელიც რიგ შემთხვევაში **ორ წუთზე ნაკლები დროით** გრძელდებოდა მედიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და რეჟიმისათვის მიუღებელი კონკრეტული პირების საქმიანობის და გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველი კანონები მიიღო.

ცვლილებები შეეხო იმ საკითხების მარეგულირებელ აქტებს, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას, შეკრების თავისუფლებას, გაერთიანიების თავისუფლებას, მედიის თავისუფლებას, ადამიანის თავისუფლების აღკვეთის საპროცესო გარანტიებს უკავშირდება.

მიღებულია როგორც სრულიად ახალი კანონები, ისე ცვლილებები მოქმედ აქტებში. აღსანიშნავია, რომ რეპრესიისთვის გამოყენებულ ძირითად აქტებში, მაგალითად სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში, „გრანტების შესახებ“ და სხვა საქართველოს კანონებში ცვლილებები რამდენჯერმე შეიტანეს, კანონის ნორმის ადრესატების მიმართ რეპრესიის დამძიმებისა და რეჟიმისათვის მოქმედების გამარტივებისთვის. ცვლილებების დიდი ნაწილი საკანონმდებლო პაკეტების სახით იქნა წარდგენილი, რაც ცვლილებებს ერთდროულად ათამდე ან მეტ აქტში ითვალისწინებდა.

დაჩქარებული განხილვების გარეშეც, ჩვეულებრივი წესით მიღებული კანონებისა და მთელი პაკეტების შემთხვევაში, ფორმალურადაც შეუძლებელი იყო საკითხების შინაარსობრივი, სიღრმისეული განხილვა.ფორმალურ განხილვებში მონაწილეობა არ მიუღია არცერთ პროფესიულ, დამოუკიდებელ, ობიექტურ ორგანიზაციასა და ექსპერტს. ყოველ ჯერზე იგნორირებულ იქნა საერთაშორისო და ადგილობრივი ავტორიტეტული ორგანიზაციების, მათ შორის ვენეციის კომისიისა და ეუთო ოდირის დასკვნები. ცვლილებების დიდი ნაწილი, გამოქვეყნების შემდეგ სტანდარტურლი დროის დაცვის გარეშე, დაუყოვნებლივ აამოქმედეს.

წინამდებარე მიმოხილვა ასახავს 28 ნოემბრის შემდეგ, საქართველოს ევროპული კურსიდან გადახვევის შესახებ „ქართული ოცნების“ ოფიციალური განაცხადის გამო დაწყებული საპროტესტო მოძრაობის კვალდაკვალ კანონმდებლობაში შეტანილ ძირითად ცვლილებებს, რომლებიც პირდაპირ და შუალოდ პროტესტის ჩასახშობის და განსხვავებული შეხედულების მოქალაქეების მიმართ რეპრესიების გატარების მიზნით არის მიმიღებული.

1. უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი

2025 წლის 1 აპრილს მიღებული იქნა ამერიკული FARA-ს პირდაპირი თარგმანი, თუმცა, მის ინტერპრეტაციასა “ქართული ოცნება” რუსეთის “აგენტების კნონის” მსგავსად აკეთებს და მისი

მიღება დამოუკიდებელი, უფლებადაცვითი, კრიტიკული, დასავლური არასამთავრობო ორგანიზაციების განადგურებას ისახავს მიზნად.

აღნიშნული კანონი "უცხოეთის აგენტის" იარლიყს აკრავს და სისხლის სამართლის წესით ემუქრება ყველა იმ ფიზიკურ პირსა და ორგანიზაციას, რომლებიც დასავლური დემოკრატიული ქვეყნებისა და ინსიტუტებისგან ფინანსდებიან. 1938 წელს, ფაშიზმთან ბრძოლის კონტექსტში მიღებული ამერიკული FARA მტრული ძალების გავლენის წინააღმდეგ არის მიმართული და მისი აღრესატია მტრული უცხო ძალის უშუალო დავალებით მოქმედი აგენტის საქმიანობა. ამის საპირისპიროდ, საქართველოში მიღებული კანონი პრაქტიკულად მტრად და არასურველი გავლენის წყაროდ მონიშნავს ქვეყნის დასავლელ მეგობრებს, მათ შორის, აწ უკვე ყოფილ სტრატეგიულ პარტნიორ - ამერიკის შეერთებულ შტატებს. ამერიკული FARA-ს მიხედვით, აგენტებად რეგისტრაციას ექვემდებარებიან მხოლოდ ლობისტები და უცხო ძალის დაკვეთით, მათ უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი, მათი ინტერესების გამტარი სუბიექტები. ხოლო საქართველოში კანონისმიერი რეპრესიის პოტენციურ აღრესატთა წრე ფაქტობრივად შეუზღუდავია და აგენტად რეგისტრაციას ექვემდებარება ფატობრივად ყველა და ყველაფერი, ვინც დაფინანსებას იღებს საქართველოს მეგობარი ქვეყნებისგან და მოქმედებს არა დამფინანსებლის, არამედ ქართველი ხალხის ინტერესით, მათ შორის, ახორციელებს: უფლებადაცვით, გარემოსდაცვით, სოციალური მხარდაჭერის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ზოგადად, დემოკრატიული იდეებისა და ქვეყნის დასავლური კურსის მხარდამჭერ საქმიანობას.

„ქართულმა ოცნებამ" კანონის ფორმალურ მიზნად განმარტებით ბარათში მიუთითა სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობაში გარე ძალების ჩარევის შეზღუდვის ეფექტიანად განხორციელება და უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

ცვლილებების შინაარსი

ინგლისურიდან თარგმნილი FARA, სამართლიან გარემოში, ვერც არასამთავრობო და ვერც მედიაორგანიზაციებს ვერ შეეხებოდა, რადგან მისი სამიზნე ამერიკაში ლობისტური საქმიანობაა. ამასთან, არამეგობრული და მტრული სახელწმიფოებითაა შემოსაზღვრული იმ სახელმწიფოთა ჩამონათვალი, საიდანაც დაფინანსება FARA-ს ინტერესის სფეროში მოექცევა. საქართველოს პირობებში, კი, თავად „ქართული ოცნების" არაერთი პირდაპირი აღიარების თანახმად, ეს თარგმანი უშუალოდ სამოქალაქო სექტორის წინააღმდეგ მექანიზმად არის ჩაფიქრებული და მტრულად აცხადებს დასავლური მეგობარი დემოკრატიებსგან მომდინარე დაფინანსებას. „ქართულმა ოცნებამ" უკვე კარგა ხანია მიზანში ამოიღო არჩევნების, ადამიანის უფლებებისა თუ კანონის უზენაესობისა და კორუფციის თემებზე მომუშავე ყველაზე დიდი და გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც ობიეტური და პროფესიონალური კრიტიკის მთავარი ხმები და მათ სტიგმატიზაციას "მდიდარი ენჯეოების" და აგენტის იარლიყის მიწეპებითა და შეთქმულების თეორიების გავრცელებით ცდილობს. "ქართული ოცნების" განცხადებით, არიან საქართველოში ყველაზე მდიდარი, აშშ-დან დაფინანსებული „ენჯეოები", USAID-ი, NED-ი,რომლებიც პირდაპირ გამოიყენებოდნენ რევოლუციის მოსაწყობად და დღემდე გრძელდება ეს პროცესი.

ამერიკული კოტექსტისგან არსებით სხვაობას კლანური სასამართლოს ფაქტორიც ქმნის, რომელიც „ქართული ოცნების" პოლიტიკური ინტერესის სფეროში არსებულ საქმეთა სამართლიან გადაწყვეტას გამორიცხავს.

აღსანიშნავია **სიტყვა აგენტისა და უცხოეთის აგენტის მნიშვნლობა ქართულ ენაში**, რომელიც, ამ კონტექსტში, სამართლებრივი მნიშვნელობისაა და არის მკვეთრად მასტიგმატიზირებელი და მხოლოდ მტრული ორგანიზაციის მონიშვნის საშუალება, რის შესახებაც ენათმეცნიერებმა შესაბამისი კვლევა წარუდგინეს საკონსტიტუციო სასამართლოს. სტრასბურგის სასამართლომ **უცხოეთის აგენტის იარლიყი** რუსეთის წინააღმდეგ არაერთ საქმეში შეაფასა, როგორც უსამართლო წინასწარი განწყობის შემქმნელი, ასევე, მნიშვნელოვნად შემზღუდავი და სტიგმატიზაციის ეფექტის მქონე.

- კანონის რეგულირების ქვეშ მოქცეულ პირებს დაეკისრათ ანტიკორუფციულ ბიუროში, ფიცის ქვეშ აგენტად რეგისტრაციის ვალდებულება. ამ განცხადების წარდგენისას მოთხოვნილია „ყოვლისმომცველი ინფორმაცია განმცხადებლის საქმიანობის არსის შესახებ“, ამ ინფორმაციის ფარგლები, როგორც კანონში გამოყენებული ტერმინივე ასახავს, პრაქტიკულად აბსურდულობამდე განუსაზღვრელია და მოიცავს ყველანაირ, მათ შორის, პირად, პროფესიულ, ფინანსურ ინფორმაციას, საადვოკატო საიდუმლოსაც კი. კანონი უფრო შორსაც მიდის და ჩამონათვლის გარდა მიუთითებს, რომ რეგისტრაციისას მოთხოვნილია „ყველა სხვა ინფორმაცია ან დოკუმენტი, რომელიც ამ კანონის მიზნებთან არის დაკავშირებული და შესაძლებელია პერიოდულად მოითხოვოს ანტიკორუფციულმა ბიურომ ეროვნული უსაფრთხოებისა და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე“.
- კანონი მიუთითებს რომ აგენტმა უნდა წარადგინოს იმ საქმიანობის დეტალურ აღწერა, რომელიც განხორციელდა ან განხორციელდება და რომელიც შეიძლება **პოლიტიკურ საქმიანობად** იქნეს მიჩნეული. ამ ტერმინში კი კანონისმიერივე განმარტებით, აბსოლუტურად ყველანაირი საქმიანობა ექცევა (თავად კანონისვე დადგენილი ორიოდე გამონაკლისის გარდა (მაგალითად, სამედიცინო და ჰუმანიტარყლი საქმიანობა).
- აგენტი ვალდებულია ყოველი 6 თვის გასვლის შემდეგ, ფიცის ქვეშ, კვლავ წარუდგინოს ანტიკორუფციულ ბიუროს ნებისმიერი ის ინფორმაცია, რომელსაც ანტიკორუფციული ბიურო „ეროვნული უსაფრთხოებისა და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს“.
- აგენტად მონიშვნის შემდეგ, ამ სტატუსის მქონე პირებს პრაქტიკულად ეკრძალებათ დამოუკიდებელი საქმიანობა, იმ ზომამდეც კი, რომ კანონი ითხოვს, რაიმე საინფორმაციო მასალის ორ ან ორზე მეტ პირს შორის ნებისმიერი ფორმით (მაგალითად, ორი პირისთვის მეილის გაგზავნისას) გავრცელებისას, ანტიკორუფციულ ბიუროს 48 საათში მისი 2 ეგზემპლარი წარუდგინოს. ამ პირებმა ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებისგან ან თანამდებობის პირისგან ნებისმიერი ინფორმაციის ან კონსულტაციის მიღებას, რომელიც ეხება პოლიტიკას ან საჯარო ინტერესებს, ასევე, პარლამენტის კომიტეტსა ან კომისიაში გამოსვლას, უნდა წაუმძღვარონ თვალსაჩინო და ზუსტი განცხადება იმის შესახებ, რომ აგენტები არიან და დაფიქსირდებიან შესაბამის ოქმში, როგორც აგენტები.

ამდენად, კანონის რეგულირებისა და ძირითად უფლებებში (კერძოდ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მე-11 მუხლი), გამოხატვის თავისუფლება (მე-10 მუხლი), პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება (მე-8 მუხლი), დისკრიმინაციის აკრძალვა (მე-14 მუხლი), სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებების უფლება (მე-13 მუხლი) და უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები (მე-18 მუხლის)) ჩარევის ფარგლები იმდენად ფართო და შეუზღუდავია, რომ კეთილსინდისიერი განმარტების პირობებშიც, რისი მოლოდინიც დამოუკიდებელ სამოქალაქო საზოგადოებას არსებული სასამართლოსგან არ აქვს, გაუმართლებელი იქნებოდა.

კანონის ენა გაბრალ გაუგებარი, ქართულისთვის არაბუნებრივი სინტაქსით შედგენილია, რასაც „ქართული ოცნება“ მისი თარგმანობით ამართლებდა. კანონის შედარებით გასაგები ნაწილი მხოლოდ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ ნორმებშია. კანონი ნათლად და არაორაზნოვნად ადგენს, რომ კანონის ნებისმიერი დარღვევა სისხლის მასართლის წესით ისჯება. მათ შორის, რეგისტრაციის ვალდებულების შეუსრულებლობა, ისჯება 10 000 ლარამდე ჯარიმით ან/და თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე. ნორმა კუმულატიურია, რაც ნიშნავს, რომ ორივე სასჯელი ერთდოულად შეიძლება იქნას გამოყენებული. კანონის შედარებით „მსუბუქი“ დარღვევები კი 5 000 ლარამდე ჯარიმით, ან/და თავისუფლების ექვს თვემდე აღკვეთით დაისჯება.

სამოქალაქო საზოგადოების ასზე მეტი ორგანიზაციის საერთო შეფასებით, კანონი ანტიქართული და ანტიკონსტიტუციურია.

ანტიკორუფციული ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე გამოჩნდა FARA eFile სისტემა, სადაც რეგისტრაცია და მონაცემების ძიება არის შესაძლებელი. ანტიკორუფციული ბიურო მოქალაქეებს მოუწოდებს, ამხილონ პირი ნორმის დარღვევის თაობაზე, თუ ფიქრობენ, რომ ვინმეს აქვს რეგისტრაციის ვალდებულება და არ რეგისტრირდება და ამისთვის ელ-ფოსტა და ტელეფონის ნომერიც გამოაქვეყნეს. ამან სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებს დანოსების საბჭოთა სისტემა გაახსენა.

ამრიგად, ამერიკული პრაქტიკისგან განსხვავებით, საქართველოში მოქმედი ყველა სამოქალაქო ორგანიზაცია ან ინდივიდი, რომელიც უცხოურ დაფინანსებას იღებს, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი აქტორია (და არა დამფინანსებლის დავალებითა და ინტერესით მოქმედი) და მხოლოდ საკუთარი იდეისა და წესდების შესაბამისად მოქმედებს, ექცევა ამ რეპრესიული, შეურაცხმყოფელი კანონის რეგულირების სფეროში. ამის საპასუხოდ, კატეგორიული უარი განაცხადა რა რუსული კანონით ცხოვრებასა და აგენტის იარლიყის ნებით მიკვრაზე, სამოქალაქო საზოგადოების ძირითადმა ნაწილმა შეწყვიტა ან შეაჩერა საქმანობა. ხოლო მათი ნაწილი, ვინც აგრძელებს საქმიანობას, სიხსლისსამართლებრივი დევნის, ჩხეკისა და პატიმრობის რეალური საფრთხის წინაშეა, რაც ნებისმიერ დროს შეიძლება დაიწყოს მათ წინააღმდეგ.

2. „გრანტების შესახებ” საქართველოს კანონი

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში, 2025 წლის 20 თებერვლიდან 12 ივნისის ჩათვლით შეტანილი ცვლილებებით, დამოუკიდებელ კრიტიკული არასამთავრობო ორგანიზაციების უცხოური დაფინანსება მთავრობის ნებართვაზე გახდა დამოკიდებული, რაც რეალურად ორგანიზაციების გაჩერებას, საქმიანობის აკრძალვას ნიშნავს.

ცვლილებების შინაარსი

- კანონს დაემატა ახალი ნორმები უცხოური გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის გაცემის წესის შესახებ, კერძოდ: ნებისმიერი საერთაშორისო აქტორისგან გრანტის ნებისმიერი მიმღებისთვის გრანტის გაცემა საჭიროებს საქართველოს მთავრობის ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის/ორგანოს თანხმობას. ასეთი თანხმობის გარეშე გაცემული გრანტის მიღება დაუშვებელია. ამასთან, გრანტი გამოიყენებული უნდა იყოს მხოლოდ ხელშეკრულებაში აღნიშნული მიზნებისთვის.

გრანტის მიზნობრიობის შეცვლა თუ აქამდე მხოლოდ მხარეთა (დონორისა და გრანტიორის) შეთანხმებას საჭიროებდა, უკვე საქართველოს მთავრობის თანხმობის მიღების ვალდებულებას ითვალისწინებს.

- დონორს დაეკისრა ვალდებულება, გრანტის გაცემაზე თანხმობის მისაღებად წინასწარ მიმართოს საქართველოს მთავრობას ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს/ორგანოს და წარუდგინოს გრანტის წერილობითი ხელშეკრულების პროექტი. გრანტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, გრანტის გამცემს (დონორს) შეიძლება მოეთხოვოს ასევე დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა.
- მონიტორინგის წესი გავრცელდება ნატურალური ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემულ იმ სახსრებზე, რომლებიც თავისი ბუნებით გრანტია. გრანტად მიიჩნევა აგრეთვე უცხოური დონორის მიერ გაწეული ტექნიკური დახმარება ტექნოლოგიების, სპეციალიზებული ცოდნის, უნარების, ექსპერტიზის გაზიარების ფორმით, მაგალითად, უცხოელი ექსპერტის მიერ ცოდნის გაზიარება - ტრენინგიც ამგვარად იქნება განმარტებული.
- დონორის მიერ გრანტის გაცემისთვის თანხმობის მიღების ვალდებულება არ ვრცელდებოდა საერთაშორისო სპორტული ასოციაციის, ფედერაციისა და კომიტეტის მიერ გაცემულ გრანტებზე, აგრეთვე საქართველოს ფარგლების გარეთ ზოგადი განათლებისა და უმაღლესი განათლების მიღებისა და სამეცნიერო მუშაობისთვის გაცემულ ინდივიდუალურ ფინანსურ დახმარებაზე. მოგვიანებით, საზოგადოებაში აღძრული პროტესტის საპასუხოდ, ხელახლა შესული ცვლილებებით, ზემოაღნიშნული ჩამონათვალი გაფართოვდა და დაემატა ზოგიერთი სასწავლო გრანტი.
- გრანტის თანხმობის გარეშე გაცემისა და მიღების მონიტორინგს ანტიკორუფციული ბიურო განახორციელებს. ამ მიზნით მას უფლება ეძლევა ფაქტობრივად შეუზღუდავი ჩარევა განახორციელოს გრანტის მფლობელის საქმიანობაში და ნებისმიერი პირისგან გამოითხოვოს ინფორმაცია, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემი, ასევე. საიდუმლოების (გარდა სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ამ მოთხოვნის შესრულება ადრესატისათვის სავალდებულოა. ამდენად, კანონი პრაქტიკულად არ ცნობს და პატივს არ სცემს პროფესიული ან პირადი საიდუმლოების დაცვას.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, **განსაკუთრებული კატეგორიის ის მონაცემი**, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ, ფილოსოფიურ ან სხვაგვარ მრწამსს, პროფესიული კავშირის წევრობას, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას, მის ნებისმიერ სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, მსჯავრდებას, ბიომეტრიულ და გენეტიკურ მონაცემებსაც კი.

- ბიუროს ასევე მიეცა ნებისმიერი ფიზიკური პირის გამოკითხვის უფლებაც, რომელსაც ბიუროსვე შეფასებით შესაძლებელია ჰქონდეს მონიტორინგის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაცია.
- შემოღებულია დრაკონული სანქციები, მათ შორის: გრანტის მიმღების მიერ გრანტის თანხმობის გარეშე მიღება, გრანტის მიმღების აღნიშნული გრანტის ორმაგი ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს. განმეორებით ჩადენისვის ეს ჯარიმა კიდევ გაორმაგდება. ანტიკორუფციული ბიურო უფლებამოსილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენასთან ერთად, სამართალდამრღვევის ქონებას (მათ შორის, საბანკო ანგარიშებს) სახელის პროპორციულად დაადოს ყადაღა.

- შეიქმნა სსიპ სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტო, 20 მილიონიანი ბიუჯეტით, სააგენტომ ის ორგანიზაციები უნდა დააფინანსოს, რომელთა "საქმიანობის მიმართულებები თანხვედრაში იქნება ქვეყნის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებთან". თავად სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები 800 000 ლარს აღემატება.

"ქართულმა ოცნებამ" პირდაპირ მიუთითა, რომ არასასურველი ორგანიზაცები და პერსონები ჰყავთ მონიშნული და არ დაუშვებენ მათ დაფინანსებას. საპარლამენტო განხილვის დროს პარტიის წარმომადგენელმა პირდაპირ განაცხადა, რომ ამ კანონის მიღების მიზანი არის ის, რომ "კოლექტიური გიგაურები და ლომჯარიები" "არასასურველ ორგანიზაციებს" მიაკუთვნონ, რათა მათ დაფინანსების მიღება ვეღარ შეძლონ.

სამოქალაქო ორგანიზაციების გაჩერებას კრიტიკული ხმის ჩახშობის გარდა, მძიმე სოციალური და ჰუმანიტარული განზომილებაც აქვს. ადამიანებს შეეზღუდებათ ზრუნვისა და სამედიცინო სასიცოცხლო სერვისების მიღება, ასევე კვალიფიციური უფასო იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა მათი უფლებების დარღვევის დროს და მარტო რჩებიან რეპრესიული მექანიზმის წინაშე.

არასამთავრობო ორგანიზაციების_განცხადებით, არალეგიტიმური პარლამენტი ცდილობს ქართველ ხალხს ჩამოაშოროს მეგობრების მხარდაჭერა და თანადგომა და დაუცველი დატოვოს - ბავშვები, ქალები, სტუდენტები, ხანდაზმულები, უკანონო პატიმრები, სამსახურებიდან უკანონოდ გათავისუფლებულები, უკანონოდ დაჯარიმებულები, ძალადობის მსხვერპლები, შშმ პირები, ჟურნალისტები, კულტურის, ბიზნესის და სხვა სფეროს წარმომადგენლები. უიმედოდ აქციოს თითოეული მოქალაქე, რომელიც რაიმე ფორმით საჭიროებს მიიღოს დასავლური ცივილიზაციის სიკეთე.

3. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონი

„ შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონში შესული ცვლილებებით, არსებითად გაუარესდა აქციების, დემონსტრაციების, შეკრებების ჩატარების სტანდარტი და აქციის მონაწილეთა უფლებები, იმდენად, რომ, უფლების გაუქმებას უტოლდება. ფაქტობრივად სრულად გაუქმდა სპონტანური პროტესტის კანონიერად ჩატარების უფლება.

მხოლოდ ამ კანონში ნოემბრის საპროტესტო მოძარაობის დაწყებიდან, **7 თვის განმავლობაში „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონში 5-ჯერაა ცვლილებები შეტანილი.** ხოლო ამ მოვლენებამდე, საარჩენო კამპანიის პოპულისტური პოლიტიკური მიზნების შესაბამისად, აიკრძალა ისეთი შეკრება ან/და მანიფესტაცია, რომელიც პრაიდის ან პრაქტიკულად ნებისმიერ ქვიარ იდეის ირგვლივ შეკრების ჩატარებას გულისხმობს.

ცვლილებების შინაარსი

ამ კანონში შესული ცვლილებები ნათლად გამოხატავს „ქართული ოცნების" პოლიტიკური ამოცანის მიხედვით საკანონმდებლო პროცესის წარმართვას.

- 13 დეკემბერს შესული ცვლილებებით, ბლანკეტურად აიკრძალა პიროტექნიკური ნაწარმისა და ლაზერული გამოსხივების ან/და მკვეთრი გამოსხივების მქონე საშუალების არათუ სროლა, არამედ უბრალოდ ქონა აქციაზე. აქციის მონაწილეთა ამოცნობისა და დასჯის გამარტივებისთვის აიკრძალა სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვა.
- კანონს დაემატა სპონტანური შეკრების/მანიფესტაციის ჩატარების შესახებ გაფრთხილების მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში, დაუყოვნებლივ, გონივრულ ვადაში წარდგენის ვალდებულება მას შემდეგ, რაც პასუხისმგებელი პირისთვის ცნობილი გახდება სპონტანური შეკრების/მანიფესტაციის ორგანიზების/ჩატარების შესახებ ინფორმაცია. დიდი რისკის შემცველია **სპონტანური აქციის პასუხისმგებელი პირის განმარტების საკითხი,** რადგან სტიქიურ, სპონტანურ შეკრებას, ბუნებრივია, ვერ ეყოლება ორგანიზატორი პირი. "მიტაცებული" სასამართლოს პირობებში კი, ამ რეგულაციით შესაძლოა დასჯის მიზნით მისი სანქციის ქვეშ მოაქციონ აქციის ნებისმიერი მონაწილე, ან ინფორმაციის გამავრცელებელი პირი.
- გაფრთხილების შინაარსის შესახებ კომიკური მოთხოვნებია დაწესებული, მათ შორის სპონტანური შეკრების ან მანიფესტაციის ფორმის, სვლაგეზის, დამთავრების დროის, მონაწილეთა სავარაუდო რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, რისი წარდგენაც სპონტანური პროცესის შემთხვევაში ობიექტურად შეუძლებელია, რადგან სპონტანტურობა პროცესის დაუგეგმავობას, სტიქიურობასა და არაპროგნოზირებადობასაც გულისხმობს.
- პოლიტიკური მიზნების კვალდაკვალ, შეკრების ან მანიფესტაციის "ორგანიზატორისა" და „პასუხისმგებელი პირის" ცნებების განსაზღვრა პირდაპირ კავშირშია იმასთან, რომ "ქართული ოცნება" არ აღიარებს სახალხო წინააღმდეგობას და გამუდმებით ეძებს არარსებულ ორგანიზატორებს აქციის მონაწილეთა უკან.
- აიკრძალა შეკრების ან მანიფესტაციის დახურულ სივრცეში/შენობაში ჩატარება მისი მესაკუთრის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. შესაბამისად, ამ დანაწესის ქვეშ მოექცა ყველა სახელმწიფო თუ მუნიციპალური დაწესებულება, რომელის სახელმწიფოს მფლობელობაშია. პოლიტიკური ტერორის გათვალისინებით, კერძო სუბიექტების შემთხვევაშიც, მესაკუთრეებს ვერ ექნებათ თავისუფალი ნება მათ საკუთრებაში პროტესტის დაშვების შესახებ. ამდენად, ამ ცვლილებას, ფაქტობრივად, დახურულ სივრცეში პროტესტის აკრძალვამდე მივყავართ. რაც შეეხება მიმდებარე ტერიტორიას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, დააწესოს შეზღუდვა შეკრების ან მანიფესტაციის შენობიდან მოშორებით ჩატარებასთან დაკავშირებით, 20 მეტრის ფარგლებში.
- შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს პრაქტიკულად აეკრძალათ დროებითი კონსტრუქციის, მაგალითად კარვის, ან ცივ ამინდში თავშესაფარებელი კონსტრუქციის მოწყობა.
- აიკრძალა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აქციის შეწყვეტის მოთხოვნის შემდგომ შეკრება/მანისფესტაციაში მონაწილეობა. შესაბამისად, ეს ცვლილება შესაძლებლობას აძლევს შსს-ს მისივე მოთხოვნით დაშლილ/დარბეულ აქციაზე დარჩენილი ყველა ადამიანი კანონდამრღვევად გამოაცხადოს.

კანონში მოყვანილი ნორმების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ შესაბამისი ცვლილებები ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი სანქციების/სასჯელების დამდგენ აქტებშიც შევიდა. მაგალითად, აქციისას გზის უკანონოდ გადაკეტვისთვის ჯარიმა ათჯერ გაიზარდა და 5000 ლარი შეადგინა; ნიღბით ან ნებისმიერი საშუალებით სახის დაფარვისთვის კი 2 000 ლარიანი ჯარიმა დაწესდა.

4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საპროტესტო ხმის ჩახშობის წინააღმდეგ ყველაზე აქტიურად გამოყენებული, გავრცელებული და მასშტაბური მექანიზმია რეჟიმის ხელში, რასაც ისიც ადასტურებს, რომ **საპროტესტო მოძრაობის დაწყებიდან კოდექსში ცვლილება 20-ჯერ შევიდა** (ნაწილი არასაპროტესტო საკითხებზე). ამ კოდექსით რეპრესია, არაზუსტი დათვლით, ასობით აქტიურ ადამიანს პირდაპირ შეეხო და ფინანსური კუთხით, რამდენიმე მილიონის ჯარიმების გამოწერის საფუძველი გახდა.

დრაკონული ადმინისტრაციული ფინანსური და საპატიმრო სანქციებით, ფაქტობრივად, გაუქმდა შეკრების კონსტიტუციური უფლება. მკვეთად გაუარესდა ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტი. უპრეცედენტოდ გაიზარდა ჯარიმები. ფაქტობრივად გაუქმდა თანამდებობის პირის კრიტიკის უფლება. პარტიისთვის არასასურველი პირი შეიძლება დაისაჯოს სოციალურ ქსელში გამოხატული პოზიციისთვის.

კოდექსში შესული ცვლილებების პოლიტიკური ამოცანა ყველა შემთხვევაში იმდენად თვალსაჩინოა, შესაძლებელია შეფასდეს, როგორც პარტია „ქართული ოცნების“ რეპრესიული პასუხი მთელს საქართველოში, განსაკუთრებით კი დედაქალაქში 28 ნოემბრიდან მიმდინარე უწყვეტ პროტესტზე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არის დამოუკიდებელ საქართველოში მოქმედი ერთადერთი კანონი, რომელიც 1984 წელს კომუნისტების მიერაა მიღებული. საბჭოთა დროიდან მოყოლებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირება სახელმწიფოს ხელში არსებული რეპრესიული მექანიზმია, რომელიც წინააღმდეგობაშია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოების თანამედროვე სტანდარტებთან და განგრძობითად, ფუნდამენტურად არღვევს ადამიანის ძირითად უფლებებს. ბოლო პერიოდის ცვლილებებიც ამ კონტექსტის ნაწილია.

ცვლილებების შინაარსი

- შეიცვალა შესაბამისი ადმინისტრაციული გადაცდომების შესახებ ნორმათა დისპოზიციები და დაწესდა ახალი სამართალდარღვევები და დაკავების ახალი საფუძვლები. დრაკონულად გამკაცრდა სანქციები, იმდენად, რომ სიმწვავითა და ზემოქმედების სიმძიმით, ფაქტობრივად, გაუტოლდა სისხლისსამართლებრივ სანქციებს. ეს თავის მხრივ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის ძირითად უფლებებს და საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს. ფინანსური სანქციის მინიმუმ ორჯერ და მაქსიმუმ ოცჯერ გაზრდა, ამასთან, კანონის არაკეთილსინდისიერი განმარტება და სასამართლოს პრაქტიკულად გაცხადებული უარი პროტესტის მონაწილეთა უფლებების დაცვაზე, ჯამში აშკარად აჩვენებს ცვლილების მიზანს - არაპროპორციული და არაკანონიერი ფინანსური წნეხი შეუქმნას პროტესტის მონაწილეებს, იმ ზომით, რომ პროტესტის გამოხატვაზე უარი იქნას ნათქვამი.
- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის დამახინჯებისთვის - სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებური შესრულება შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე და ა.შ. მანამდე არსებული 50 ლარის ნაცვლად, ათასი ლარით ჯარიმდება. ამდენად, ეს სანქცია ოცჯერ არის გაზრდილი.
- კოდექსს დაემატა ახალი სამართალდარღვევები პიროტექნიკური ნაწარმის შემოტანის, რეალიზაციის, შეძენის, ფლობისა და გამოყენების წესების დარღვევების შესახებ.

- საპროტესტო აქციების მონაწილეთა მიმართ ყველაზე ხშირად გამოყენებული სანქცია „გზის უკანონოდ გადაკეტვისთვის“ 5000 ლარიანი ჯარიმაა, რაც ათჯერ გაზრდილ რიცხვს წარმოადგენს ცვლილებებამდე მოქმედ რეგულაციასთან შედარებით.
- აიკრძალა სახის ნიღბით ან ნებისმიერი საშუალებით დაფარვა, რისთვისაც 2 000 ლარიაანი ჯარიმაა გათვალისწინებული. აქციის დროს ადამიანები ხშირად სახეს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით იფარავდნენ, ადგან აქციების დაშლა ცრემლსადენი და მხუთავი გაზის გამოყენებით ხდებოდა.

პროტესტის გამოხატვისთვის გამოყენებული ათასობითლარიანი ჯარიმები, მაგალითად 5000 ლარის შემთხვევაში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დადგენილ დაახლოებით [260 ლარიან საარსებო მინიმუმს](#) 19-ჯერ და [2183 ლარიან საშუალო ხელფასს](#) დაახლოებით, 2,3-ჯერ აღემატება.

- შესაძლებელი გახდა პირის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი და ნივთების გასინჯვა პრევენციულად, რაც ნიშნავს, რომ დარღვევა არ არის მომხდარი და პირი შეიძლება „ამის არიდების“ მიზნით დააკავონ.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პატიმრობის მაქსიმალური 15 დღიანი ვადა 60-მდე გაიზარდა.
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად განისაზღვრება სახელმწიფო პოლიტიკური პირის, საჯარო მოსამსახურის სიტყვიერი შეურაცხყოფა მის საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც ფაქტობრივად აუქმებს კრიტიკის უფლებას.
- ცვლილებებით ახლებურად განიმარტა „წვრილმანი ხულიგნობა“, რაც საშუალებას იძლევა მმართველი პარტიისთვის არასასურველი პირი დაისაჯოს არა მხოლოდ გარე სივრცეში, არამედ სოციალურ ქსელში გამოხატული გინების ან მსგავსი მძაფრი პოზიციისთვის.

უპრეცედენტო მასშტაბის რეპრესიის გათვალისწინებით, შსს ვერ აუდის ჯარიმების ადმინისტრირებას, შესაბამისად, განხილვების პროცესში განგრძობითად ირღვეოდა ადმინისტრაციული საქმისწარმოების ელემენტარული სტანდარტები, მათ შორის ადმინისტრაციული აქტის ჩაბარებისა და საქმის განხილვის წესები. გადატვირთულობის გათვალისწინებით, გაუქმდა ჯარიმების შსს-ში გასაჩივრების შესაძლობლობა, მეტიც, კანონის მიღების დროისათვის უკვე შსს-ში გასაჩვრებულ ჯარიმების საქმეთა შეწყვეტა და სასამართლოში გადაგზავნა მოხდება.

5. [„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“](#) საქართველოს კანონი

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში დაჩქარებულად მიღებული ცვლილებებით გაუქმდა გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელოვანი გარანტიები, მათ შორის, კვალიფიციური პრივილეგია, რაც ეწინააღმდეგება გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილ სტანდარტებს.

ცვლილებების შინაარსი

- გაუქმდა ნორმა, რომლითაც არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელების მიუხედავად, პირს ჰქონდა კვალიფიციური პრივილეგია (კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის ნაწილობრივ ან პირობით გათავისუფლება), თუ მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავიდან აცილება და გაატარა ქმედითი ღონისძიებები ცილისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად. ეს ნორმა მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს.
- აღნიშნული ცვლილება გამოყენებული იქნება კრიტიკული მედიისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ და გააიოლებს მათ სამართლებრივ დევნას, მით უფრო, რომ კრიტიკული რეპორტაჟების სუბიექტები ხშირად გამიზნულად უარს ამბობენ ჟურნალისტებთან კომუნიკაციაზე.
- შეიცვალა ცილისწამების განმარტებაც, კერძოდ ეს იყო: „არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება“, საიდანაც ამოღებულია მნიშვნელოვანი - ზიანის მიყენების ელემენტი. ასევე ამოღებულია ჩანაწერი წყაროს გამხელისგან დაცვის შესახებ, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელი იყო სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საქმეზე მოპასუხის უარი – გაემხილა პროფესიული საიდუმლოება ან მისი წყარო, მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანის ერთადერთი საფუძველი გამხდარიყო.
- ამოღებულია ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით არ შეიძლებოდა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლის ცოდნაც აუცილებელია ადამიანისათვის დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განსახორციელებლად.
- შეიცვალა მტკიცების ტვირთის განაწილების წესიც, რაც ეკისრებოდა მოსარჩელეს, ანუ მას, ვისაც დავის აღძვრის ინტერესი და მოტივაცია ჰქონდა და გადავიდა მოპასუხეზე - მოპასუხეს ცილისწამებისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრება, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ სადავო განცხადება მოსარჩელის შესახებ არსებითად მცდარ ფაქტს არ შეიცავს.
- შემცირდა ცილისწამების საქმის განხილვის ვადები, სასამართლოს მიერ მხარეთა მორიგებისთვის დადგენილი 1-თვიანი ვადა 10 დღემდე შემცირდა.

6. სისხლის სამართლის კოდექსი

სისხლის სამართლის კოდექსში შესული მიზნობრივი პოლიტიკური ცვლილებებით გაძლიერდა რეპრესიისა და კრიტიკული ადამიანების დევნის მექანიზმები. დაწესდა ახალი დანაშაულები, ასევე გამკაცრდა პასუხისმგებლობა რიგი ქმედებებისთვის. ამ მიზნისათვის, კოდექსში ცვლილებები, დაახლოებით, ათზე მეტჯერ შეიტანეს.

ცვლილებების შინაარსი

- სრულიად პოპულისტური და არასამართლებრივი მიზნით, კოდექსში აღდგა სახელმწიფო ღალატის ცნება, რომელიც საბჭოთა ეპოქის შემდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიღების დროიდან გაუქმებული იყო, რადგან შეუძლებელია ამ ზოგადი ფრაზის სისხლისამართლებრივად საჭირო კონკრეტული და ამომწურავი სყანდარტით

განმარტება. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კონკრეტული შემადგენლობები, საბოტაჟისა და ჯაშუშობის ჩათვლით, ისედაც იყო კოდექსის ნაწილი.

- გაჩნდა ახალი დანაშაული - საქართველოს კანონის „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ დარღვევა, რისთვისაც მაქსიმალური სასჯელი 10 000 ლარამდე ჯარიმა და 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთაა. დასჯადი გახდა არა მხოლოდ პიროტექნიკის გამოყენება, არამედ მისი აღრიცხვის, შენახვის, გადაზიდვის, გაგზავნის გამოყენების წესების დარღვევა. მაქსიმალური სასჯელი ხუთ წლამდე პატიმრობაა.
- ცალკე გამოიყო თანამდებობის პირებზე და მათ ოჯახის წევრებზე მუქარა, კერძოდ: კოდექსს დაემატა ახალი მუხლი, ანუ გაჩნდა ახალი დანაშაული - საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, პოლიტიკური თანამდებობის პირის, სახელმწიფო მოსამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებული პირის ან/და საჯარო მოსამსახურის ან/და მისი ოჯახის წევრის მიმართ ძალადობის მუქარა ან მასზე თავდასხმა ან მის მიმართ სხვა ამგვარი ქმედების ჩადენა. მაქსიმალური სასჯელი, დამაძიმებელი გარემოებების შესაბამისად, 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთაა. რეპრესიული რეჟიმის პირობებში ასეთი ცვლილება ოპონენტებისა და სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ მიმართული იარაღია, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა რეჟიმი თავდასხმად განმარტავს ქალის მიერ გაწნულ სილას.

დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებად არაა გათვალისწინებული „სიცოცხლის მოსპობის“ ან „ჯანმრთელობის დაზიანების“ ანდა „ქონების განადგურების“ მუქარა, როდესაც „იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში“, რაც მუქარის შესახებ არსებული დანაშაულისთვის აუცილებელი შემადგენლობაა. შესაბამისად, თანამდებობის პირის მიმართ ნებისმიერი, მისთვის ატასასურველი გამოხატვა, რომელსაც ეს უკანასკნელი მუქარად მიიჩნევს, მიუხედავად იმის, გაუჩნდა თუ არა ამის განხორციელების საფუძვლიანი შიში, დასჯადია.

- ცალკე აღსანიშნავია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემოღება კანონის გვერდის ავლით. პროტესტის მონაწილეთა მიერ თბილისის შემოსასვლელის გადაკეტვის ინიციატივის გამოხატვის შემდეგ, აქციის წინა დღეს „ქართული ოცნების“ მთავრობამ ცვლილები შეიტანა ადმინისტრაციულ აქტში და ამის საფუძველზე მეორე დღეს სისხლისსამართლებრივად დასაჯა აქციის მონაწილეები.
- სხვა კანონების მსგავსად, ჰომოფობიური პოლიტიკური კამპანიის შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსიდანაც გაქრა სიტყვა გენდერი, შესაბამისად, გენდერული თანასწორობა.
- ცალკე გამოყოფას იმსახურებს რეპრესიული ნარკოპილიტიკის კიდევ უფრო დამძიმების საკითხი (მათ შორის 6 წლამდე ციხე ხუთი გრამი მარიხუანას ფლობისთვის), რომელიც ასევე პოპულისტური მიზნებითა და ოპონენტთა რეპრესიისათვის (ე.წ. ნარკოტიკების ჩადებების პოლიტიკა) წარმატებულად გამოყენების შესაძლებლობითაა ნაკარნახევი. ასევე, კოდექსს დაემატა ახალი კარი და თავი, რომელიც ნარკომანიით დაავადებული პირის სავალდებულო მკურნალობას ითვალისწინებს.

7. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებების კვალდაკვალ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ასევე განხორციელდა უფლებაშემზღუდველი ცვლილებები, რამაც არსებითად გააუარესა ბრალდებულის საპროცესო უფლებების დაცვის სტანდარტი.

ცვლილებების შინაარსი

- ბრალდების მხარეს, ყოველგვარი ფორმალური სასამართლო კონტროლის გარეშე, მხოლოდ გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობით, შეეძლება დაფაროს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში ან ფარულ საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილე პირის ვინაობა. ეს საშუალებას იძლევა პროკურატურის ინტერესის შესაბამისად, გასაიდუმლოვდეს იმ პირის ვინაობა, რომლის "ოპერატიული" ჩვენებითაც საპროტესტო აქციების მონაწილეების წინააღმდეგ იწყება გამოძიება და საქმეთა შეკერვა.
- არსებითი ცვლილებას წარმოადგენს საკვანძო მოწმის ვინაობის გასაიდუმლოება, რომელის ჩვენებასაც შესაძლოა დაეყრდნოს გამამტყუნებელი განაჩენი. ამით უშუალოდ ილახება ბრალდებულის დაცვის კონსტიტუციური უფლებები, რადგან შეულებელი გახდება უცნობი მოწმის რეალურად დაკითხვა, ამ მოწმის მიერ მოწოდებული ინფორმაციის რეალური შედავება და ა.შ., მაშინ როცა ბრალდებული ამ მოწმის ჩვენების საფუძველზე შეიძლება გამტყუვნდეს.

8. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი

დაკნინდა საჯარო სამსახურის პროფესიული ხასიათი, კატასტროფულად შემცირდა დასაქმებულ პირთა სამართლებრივი დაცვის გარანტიები. შედეგად, **საჯარო სამსახურის პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა** და **დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის** კანონისმიერი პრინციპები პოლიტიკური მიზანშეწონილობით ჩანაცვლდა.

ახალ ხელმძღვანელებს/მინისტრებს უფლება მინიჭათ საჯარო სამსახურში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე (მაგ. დეპარტამენტის უფროსი, მოადგილე, სამსახურის უფროსი, მოადგილე და ა.შ.) ხელშეკრულებით, უკონკურსოდ, დანიშნონ პირები მათი თანამდებობაზე ყოფნის ვადით, რაც ზრდის ნეპოტიზმის რისკებს და ძირს უთხრის საჯარო სამსახურის დამოუკიდებლობას და პროფესიულ სტანდარტებს. შედეგად პრაქტიკულად სრულად გაუქმდა საჯარო სამსახურის რეფორმის ის მიღწევები, რაც ევროკავშირის მხრიდან საქართველოს მიმართ უვიზო მიმოსვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო.

რეალურად ცვლილებების მიზანი იყო საჯარო სამსახურის სისტემაში რეორგანიზაციად სახელდებული საკადრო წმენდის მხარდაჭერა და პარტიული ვერტიკალის გაძლიერება.

ცვლილებების შინაარსი

საკანონმდებლო ცვლილებები შესაძლოა რამდენიმე ძირითად საკითხად დაიყოს, მათ შორის არსებითია ზოგადად პროფესიული საჯარო სამსახურის პრინციპის დაკნინება და საჯარო მოხელის კანონისმიერი გარანტიების შემცირება. ეს საკითხი უმნიშვნელოვანესია, რადგან პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და პროფესიული საჯარო სამსახურის პრინციპი საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით ფუძემდებლური მნიშვნელობისაა.

- მთავარ ცვლილებას წარმოადგენს საჯარო მოხელის სტატუტის მქონე პირთა ჩამონათვალის შემცირება აღმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა წრის გაფართოების სასარგებლოდ. საჯარო სამსახურში პროფესიულ მოხელეს ფაქტობრივად მოესპო

მერიტოკრატიულად დაწინაურების შანსი, მაგალითად სამმართველოს უფროსობამდე, რადგან ამ თანამდებობას უკვე უკონკურსოდ, ხელშეკრულებით აყვანილი პირი დაიკავებს.

- ცვლილებების მიხედვით, მოხელის შეფასება ერთი წლის ნაცვლად 6 თვეში ერთხელ მოხდება. აქვე აღსანიშნავია, რომ შეფასების შედეგად, მოხელის მიმართ ისეთი დრაკონული სანქციები შეიძლება იქნას გამოყენებული, რაც აქამდე არ იყო კანონში და ხთანამდებიბრივი სარგოს მეხუთედის დაკავებას გულისხმობს.
- ცვლილებებით აბრი დაეკარგა უკანონო რეორგანიზაციის გასაჩივრებას, რადგან არ მოხდება ამ გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერება და სასამართლო გადაწყვეტილებამდე სადავო სამსახური ან თანამდებობა შეიძლება სრულად გაუქმდეს. პრაქტიკულად უშინაარსო გახდა რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლებული პირის დავა, რადგან სასამართლოს მოგების შემთხვევაშიც ვერ აღდგება სამსახურში. ასევე აღდგა საჯარო მოხელის უკონკურსოდ დანიშვნის წესი.
- გაუქმდა საჯარო სამსახურის ბიურო და მისი ფუნქციები მთავრობის ადმინისტრაციასა და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს გადაეცა. ამას ბიუროს თანამშრომელთა მასობრივი გათავისუფლებაც მოჰყვა, მათ შორის იყვნენ ის ადამიანები, ვინ ქვეყნის დასავლური კურსიდან გადახვევა დაგმეს და კონსტიტუციის 78-ე მუხლის დაცვის აუცილებლობაზე საჯარო განაცხადეს.
- კანონს დაემატა ახალი თავი - საჯარო სამსახურში მრჩევლის შესახებ, რომელიც პირველი აგვისტოდან ამოქმედდება. ესაა პირი, რომლის უფლებამოსილება ძირითადად/არსებითად მოიცავს სახელმწიფო მოსამსახურისთვის (მათ შორის, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისთვის, აგრეთვე პოლიტიკური თანამდებობის პირისთვის, სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებული პირისთვის) სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით რჩევების მიცემას. არსებული რეგულირებით მრჩეველი მხოლოდ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს შეიძლება ჰყოლოდა.

  მრჩეველი არ არის საჯარო მოსამსახურე, შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება სამსახურში კონკურსის წესით აყვანის წესი და მიიღება ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც განისაზღვრება მრჩევლის საქმიანობის ძირითადი სფერო და მიმართულებები. მრჩეველი უფლებამოსილებას სამსახურებრივი საქმიანობისგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ ახორციელებს. ხოლო მრჩევლის მივლინებით გაგზავნისას ხარჯები ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენული წესით. მსგავსი რეგულირება საჯარო დაწესებულებაში სასურველი კადრის უკონკურსოდ მიყვანის ფართო შესაძლებლობას ქმნის.

9. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი

მედიარეგულაციების მხრივ „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული ცვლილებები არა მხოლოდ მედიის დაფინანსების, გაშუქების უფლებების შემზღუდავია, არამედ გაქრობით ემუქრება კრიტიკულ, დამოუკიდებელ, განსაკუთრებით ონლაინ მედიას, ასევე პირდაპირ და უხეშად ერევა სარედაქციო დამოუკიდებლობისა და ჟურნალისტის თავისუფლების წმინდა პრინციპებშიც.

ცვლილებების შინაარსი

- ცვლილებების მიხედვით, შეიზღუდა მაუწყებლის მიერ უცხოური ძალისგან პირდაპირი ან არაპირდაპირი დაფინანსების მიღება. აიკრძალა რაიმე „პირდაპირი ან ირიბი დაფინანსების“ მიღებაც სოციალური რეკლამის განთავსების სანაცვლოდ.

განმარტებით ბარათში პირდაპირ აღინიშნა, რომ მაუწყებლების მიერ გავრცელებული ინფორმაციის სანდოობის მაღალი ხარისხით სარგებლობისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობის გათვალისწინებით, საჭიროა საკანონმდებლო დონეზე შეიზღუდოს მაუწყებლის მიერ უცხოური ძალისგან დაფინანსების მიღება, რაც უზრუნველყოფს „უცხოური ძალის მიერ მაუწყებლის საშუალებით საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის შემცირებას".

- დაწესდა მაუწყებლის მიერ ახალი ამბების პროგრამაში ფაქტისა და კომენტარის მკაფიო გამიჯვნის ვალდებულება, ხოლო პირს, რომლის მიმართ პროგრამაში ბრალდებები გამოითქვა, უნდა მიეცეს დროული და ჯეროვანი პასუხის გაცემის საშუალება.
- თვითრეგულირების მექანიზმის ნაცვლად, კომუნიკაციების კომისიას, რომლის დამოუკიდებლობა ისედაც ეჭვქვეშაა, მიენიჭა უფლებამოსილება ჩაერიოს ფაქტობრივი სიზუსტის თაობაზე დავებში, რაც რეპრესიის მექანიზმად იქნება გამოყენებული.
- ზოგი შეზღუდვა კომიკურიცაა, მაგალითად, კანონში შესული ცვლილების თანახმად, დაუშვებელია პოლიტიკური თანამდებობის პირის ან პოლიტიკური პარტიის წევრის მონაწილეობა ახალი ამბების ან საინფორმაციო პროგრამაში წამყვანის, ინტერვიუერის ან ჟურნალისტის სახით. ამგვარი დანაწესები პერსონალურად, კონკრეტული პირების საწინააღმდეგოდ მიღებულად შეიძლება ჩაითვალოს.
- კანონში ასევე აღინიშნა, რომ პროგრამაში მხოლოდ ერთი დაინტერესებული მხარის მოწვევა აქტუალურ საკითხზე კონკრეტული პოზიციის სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ჯგუფებზე თავდასხმის საშუალებად, რომლებიც არ მონაწილეობენ პროგრამაში, რაც უკვე მედიის შეზღუდვის მიღმა, გადაცემის სტუმრის გამოხატვის თავისუფლებას ზღუდავს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია **საგამოძიებო ჟურნალისტიკის შეზღუდვის საკითხი**.

- კანონს დაემატა ახალი ნორმები, რომელიც მაგალითად ითვალისწინებს მაუწყებელის მიერ მეორე მხარესთან სატელეფონო საუბრის ჩაწერის უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სატელეფონო საუბრის ჩაწერამდე რესპონდენტს თავი წარუდგინა, განუმარტა ზარის მიზანი და აუხსნა, რომ ზარი იწერება და შესაძლოა გამოქვეყნდეს. დაუშვებელია ეთერში განთავსების მიზნით ინტერვიუს ან სატელეფონო საუბრის ჩაწერა წინასწარი გაფრთხილების გარეშე. ამგვარი მოქმედებები შესაძლებელი ხდება, „თუ სხვაგვარად მოქმედება გამართლებული არ არის, ასევე, როდესაც არსებობს ვარაუდი, რომ ღიად ჩაწერა ხელს შეუშლის ჟურნალისტური გამოძიების მიმდინარეობას", რაც არაკეთილსინდისიერი განმარტების პირობებში, მედიის საწინააღმდეგოდ იქნება განმარტებული.
- დარღვევის დადგენის შემთხვევაში კომისიას შეუძლია მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა, გარემოებების შესაბამისად, წლიური შემოსავლის 0,5%-ის, 1%-ის ან 3%-ის ოდენობით, შეაჩეროს ან გააუქმოს მაუწყებლის ლიცენზია.

10. პარლამენტის რეგლამენტი

დემოკრატიის უკუსვლის კვალდაკვალ, არსებითად გაუარესდა საპარლამენტო კონტროლის სტანდარტიც, შესუსტდა ანგარიშვალდებული პირებისთვის საკონტროლო მექანიზმები, ასევე დეპუტატის დაცვის გარანტიები.

ჰომოფობიური პოლიტიკის ფარგლებში, კანონმდებლობიდან, მათ შორის რეგლამენტიდან გაქრა ცნება გენდერი. განმარტებითი ბარათის თანახმად, ქართულ კანონმდებლობაში სიტყვა „გენდერის“ დანერგვა გლობალური ტენდენციების ანარეკლი იყო და ახლა ამ ტენდენციის წინააღმდეგ პრინციპულ პოზიციას იკავებენ.

ცვლილებების შინაარსი

მიღებულია ახალი რეგლამენტი, რომელიც 1 ივლისიდან ამოქმედდა.

- ცვლილებებით, რიგ საკითხებთან დაკავშირებით გაუქმდა შინაარსობრივი მსჯელობის ისეთი მექანიზმი, როგორიც საკომიტეტო განხილვაა და თანამდებობის პირების არჩევა, დროებითი საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების შექმნა, მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება, საქართველოს პრეზიდენტის არჩევა და თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხები, კომიტეტის გვერდის ავლით, პლენარულ სხდომაზე გავა. ნდობის გამოცხადებისას შესაბამისი მინისტრობის კანდიდატები დარგობრივი სპეციალიზაციის მიხედვით შესაბამის კომიტეტებში აღარ წარდგებიან. შესაბამისად, **აღარც მოქალაქეს მიეცემა კომიტეტზე დასწრებისა და კითხვის დასმის შესაძლობლობა**. გაუქმდა მინისტრის საათი და თემატური მოკვლევის ჯგუფი. პარლამენტი და კომიტეტი აღარ იქნება ვალდებული შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, ხოლო კომიტეტის მიერ შემუშავებული წლიური ანგარიში ცალკე არ წარედგინება პარლამენტს და არც საჯაროდ გამოქვეყნდება.
- გაუქმდა გენდერული თანასწორობის, ღია მმართველობისა და ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოები. **გაუქმდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, <u>არასამთავრობო ორგანიზაციების</u> ჩართულობის შესახებ ნორმები**. არასამთავრობო ორგანიზაციებს აღარ ექნებათ შესაძლებლობა, პარლამენტს წარუდგინონ საპროკურორო საბჭოს, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატები. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები აღარ შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ თანამდებობის პირების, მათ შორის, ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს, სხვა თანამდებობის პირებისა და ორგანოების წევრობის კანდიდატების შერჩევის პროცესში.
- პარლამენტის წევრის დაკავებაზე, დაპატიმრებაზე, მისი საცხოვრებელი ან სამუშაო აგდილის, მანქანის ან პირად ჩხრეკაზე პარლამენტის თანხმობა პლენარულ სხდომაზე დადგენილების მიღების ფორმით მოხდება, რაც გულისხმობს, რომ ამისათვის საკმარისი იქნება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობის, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედის მხარდაჭერა.

11. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი

კიდევ უფრო გამკაცრდა და გაიზარდა სასამართლოებისა და კონკრეტული მოსამართლეების კონტროლის შესაძლებლობები, ასევე, სასამართლოს კლანის ძალაუფლება. გადაიხედა და რეგრესი განიცადა სასამართლო სისტემაში მიღწეულმა მცირე პროგრესმაც.

ცვლილებების შინაარსი

- მიღებული ცვლილებებით, რომელიც რამდენიმე ჯერზე შევიდა კანონში, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიენიჭა უფლება, აუკრძალოს მოსამართლეს სამეცნიერო ან პედაგოგიური საქმიანობა, რადგან ამგვარი საქმოანობა მოსამართლეს მხოლოდ საბჭოს თანხმობით შეეძლება. ამგვარად, ცვლილებებით, **სასამართლო კლანს შეეძლება აუკრძალოს კრიტიკული აზრის მქონე მოსამართლეებს უნივერსიტეტებში აკადემიური საქმიანობა.**

- ასევე, საბჭოს ექნება ნებართვის გაცემის უფლება კონკრეტული მოსამართლეების სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობის საკითხზე. ღონისძიებაში მოსამართლის მონაწილეობაზე თანხმობის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოსამართლე შვებულების პირობებშიც ვერ შეძლებს მონაწილეობას, რადგან მოსამართლის სასწავლო შვებულებაში ან სამსახურებრივ მივლინებაში გასვლის შესახებ ბრძანებაც არ იქნება გამოცემული.
- ე.წ. ურჩი, ანუ კლანისგან დამოუკიდებელი მოსამართლეების წინააღმდეგ აქტიურ მექანიზმად რჩება მოსამართლის მივლინება. მაგალითად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მოსამართლის თანხმობის გარეშე, მიავლინოს მოსამართლე სხვა სასამართლოში, მათ შორის, დააქვეითოს, ანუ სააპელაციო სასამართლოდან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში გაუშვას. ეს „გადასახლება“ მოსამართლის თანხმობის გარეშე შეიძლება ჯამში 3 წელი გაგრძელდეს.
- 1 სექტემბრიდან გაუქმდება დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, რომელიც საერთო სასამართლოს მოსამართლეების მიმართ დისციპლინურ საქმეებს განიხილავდა. ასეთ საქმეებს საბჭოს მდივანი გადაწყვეტს.
- იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლე წევრების რაოდენობა 9-დან 12-მდე იქნება, ასევე, გაიზარდა სასამართლოს თავმჯდომარეების, კოლეგიების/პალატების თავმჯდომარეების უფლებამოსილების ვადები და უფლებამოსილებები, კვლავ იქნება სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა.
- სასამართლოში (სასამართლოს შენობაში, სასამართლო სხდომის დარბაზში, სასამართლოს ეზოშიც კი) აიკრძალა ფოტო-, კინო- და ვიდეოგადაღება და ტრანსლაცია. სასამართლო კვლავ დახურული გახდა. სასამართლოში ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება და აუდიოჩაწერა, აგრეთვე ტრანსლაცია შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ ყოველ კონკრეტულ სასამართლო სხდომასთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებით. როგორც პრაქტიკამ უკვე აჩვენა, ამგვარი ნებართვის მიღება მედიისათვის შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ პირველ ჯერზე კანონში გამორჩათ აუდიოჩაწერის აღნიშვნა და ეს 6 დღის შემდეგ, კვლავ შეტანილი ცვლილებებით დაამატეს.
- მნიშვნელოვნად, ორჯერ და მეტჯერ იზრდება მოსამართლეთა ხელფასები, მოსამართლის პოზიციის შესაბამისად, 10 512-დან 14 600 ლარამდე.

მსგავსი შეზღუდვები უწესდებათ საჯარო სექტორში დასაქმებულებსაც, კერძოდ: საჯარო მოსამსახურეს სამეცნიერო, პედაგოგიური, შემოქმედებით საქმიანობა მხოლოდ შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ან კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის წერილობითი თანხმობის საფუძველზე შეეძლება;

12. საარჩევნო კოდექსი

რეგრესი შეეხო საარჩევნო კანონმდებლობასაც, მათ შორის შეიზღუდა დაკვირვების შესაძლებობა და დამკვირვებლის უფლებები.

ცვლილებების შინაარსი

- გაუქმდა მუნიციპალურ საარჩევნო სისტემაში 2021 წელს, პოლიტიკურ პარტიებს შორის შეთანხმების საფუძველზე, ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის მედიაციით მიღებული ცვლილებები. შედეგად, შემცირდება პროპორციული სისტემით არჩეული საკრებულოს წევრთა წილი მაჟორიტარი წევრების რაოდენობის ზრდის ხარჯზე.

- ცესკომ შეცვალა საკუთარი აქტი, დადგენილება „კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ" და გააუქმა დამკვირვებლების უფლება, მოითხოვონ ამომრჩევლებისგან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ჩვენება. დამკვირვებლებს, ასევე, აეკრძალათ ამომრჩევლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატზე გამოტანილი ამომრჩევლის მონაცემების, ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატიდან ამობეჭდილი ამომრჩევლის ვერიფიკაციის დამადასტურებელი ქვითრისა და ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენზე გაკეთებული არჩევანის ფოტო-ვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება. ცვლილებების მიზანია სხვების პირადობის მოწმობებით ან პასპორტში მოთავსებული სხვისი პირადი ნომრებით ხმის მიცემის ფაქტების გამოვლენის ხელშეშლა, რაც დამკვირვებელთა მიერ მასობრივად დაფიქსირდა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე.
- გაუარესდა კენჭისყრის დღის პროცედურებიც, მათ შორის, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ფუნქციების გასანაწილებელი წილისყრა ჩატარდება არა უშუალოდ კენჭისყრის დღეს, არამედ, ამ დღემდე არაუგვიანეს მე-7 დღისა.
- სხვა კანონების მსგავსად, აქაც გაიზარდა სანქციები, მაგალითად, საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევისთვის ჯარიმა ოთხჯერ გაიზარდა და 2 000 ლარი შეადგინა, რაც, ბოლო არჩევნების პრაქტიკის გათვალისიწნებით, აქტიურად შეიძლება იქნას გამოყენებული დამკვირვებელთა წინააღმდეგ.

13. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილმა ცვლილებებმა საფუძველი მოუმზადა ოპოზიციური პარტიებისა და პოლიტიკოსების აკრძალვას.

ცვლილებების შინაარსი

საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია პოლიტიკური პარტიის აკრძალვის წინაპირობები და საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, კონსტიტუციური ნორმა დეტალურად ჩამოთვლის მათ. კერძოდ, დაუშვებელია მხოლოდ ისეთი პარტიის საქმიანობა, რომლის მიზანია: საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა,

ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

- ამ კონსტიტუციურ ჩამონათვალს, კანონში შესული ცვლილებებით დაემატა პარტია, რომელიც "ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება."
- ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიეცა პარტიის შემადგგენლობის, ანუ წევრების გამო პარტიის აკრძალვის უფლება, კერძოდ, შეეძლება აკრძალოს პარტია, რომლის გაცხადებული მიზანი ან/და საქმიანობის არსი (მათ შორის, **პერსონალური შემადგენლობა** ან/და შესაბამის საარჩევნო კომისიაში წარდგენილი **პარტიული სიის შემადგენლობა**) არსებითად იმეორებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე აკრძალული პარტიის გაცხადებულ მიზანს ან/და საქმიანობის არსს (მათ შორის, პერსონალურ შემადგენლობას).

კანონი არ განმარტავს რა არის **პარტიული სიის შემადგენლობის არსებითი გამეორება**, რა რაოდენობა ჩაითვლება ასეთად და ეს სრულად სასამართლოზეა მინდობილი, რომლის პოლიტიკური დამოუკიდებლობა კრიტიკას ვერ უძლებს. ამგვარი ფართო და ბუნდოვანი განმარტების პირობებში, აკრძალვის შესაძლებლობა შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერ პარტიაზე, ასევე, ფაქტობრივად პოლიტიკურ საქმიანობას უკრძალავს აკრძალული პარტიის სიაში ადრე ნამყოფ პოლიტიკოსებს, მიუხედავად იმისა, აკრძალულ საქმიანობაში იყვნენ თუ არა ჩართული, რაც არაკონსტიტუციურია. არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, როცა "ქართული ოცნების" გაცხადებული გეგმაა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აკრძალვა და ამისათვის საპარლამენტო კომისიაც კი შექმნა, ეს ცვლილება კონკრეტული ადამიანებისა და სხვა პარტიების დევნად და პარტიული საქმმიანობის აკრძალვად შეიძლება იქცეს, მაგალითად, შესაძლებელია, ახალი პარტია აიკრძალოს, რადგან მასში წარსულში "ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში" მყოფი პირები არიან წარმოდგენილი "არსებითად".